18/12/2024

უფასო სასადილო ‘თხილის გული’ ჩვენს დახმარებას საჭიროებს...

როგორც იცით, თბილისის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძართან ამავე სამრევლოს წინამძღვრის, დეკანოზ ალექსანდრე გალდავას ძალისხმევით წლებია ფუნქციონირებს უფასო სასადილო „თხილის გული“, რომელიც ყოველდღე მრავალ ხელმოკლე ადამიანს აპურებს. ამჟამად, სამწუხაროდ უსახსრობის გამო აღნიშნული დაწესებულების ფუნქციონირება საფრთხეშია. გაგაცნობთ მიმართვას, რომელიც სასადილოს ფეისბუქის გვერდზე გამოქვეყნდა:

„ვინც ჩვენს საქმიანობას თვალს ადევნებს, იცის რომ თხილის გულს 250 ბენეფიციარი ჰყავს... ამ ეტაპზე 95 მუდმივი მეგობრის მფარველობის ქვეშ, 155 მეგობრის ძიებაშია და ერთჯერადი დონაციების წყალობით ყოველდღიურად იღებენ ცხელ სადილს. ამ ყველაფერში ხელს გვიწყობს მაღაზია, რომელიც წლების განმავლობაში გვამარაგებს პროდუქციით, თანხას გვინაწილებდა და მიუხედავად ბევრი სირთულისა ვახერხებდით ბენეფიციარების დაპურებას. პარალელურად, მუდმივად ვართ დონორების ძიებაში, იქნება ეს იურიდიული თუ ფიზიკური პირი, რომლებიც თუნდაც ერთ ბენეფიციარს

იტვირთებენ. ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, კიდევ უფრო დაგვიმძიმდა მდგომარეობა და მაღაზიის მიმართ დაგროვილმა ვალმა 24.000 ლარს მიაღწია. ამ ეტაპზე დასაფარი გვაქვს 15.000 ლარი... რას გთხოვთ თქვენ, დაგვეხმარეთ ამ პოსტის გაზიარებაში, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა რომ ნახოს და თუნდაც მცირედით დაგვეხმაროს. ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში, მაღაზია პროდუქტით ვეღარ მოგვამარაგებს.“

თიბისი: GE89TB7555636080100006

მიმღები: თხილის გული

PayPal:

sazu.ge